ნინო გორდელაძე
გვანცა ჩხენკელი

# 1

# „დედა ენის“ კვალზე

## ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი

### მოსწავლის წიგნი

### ნაწილი II



გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ბომბორა
(მულტფილმი)

# ია

(აღწერა)

ეს იაა. იას ყვავილი ასხია. ყვავილი ამოსულია ყლორტზე. ყლორტი ამოსულია ღეროზე. ყლორტებს და ღეროს ფოთლებიც ასხია. ღერო ამოსულია ფესვებზე. ფესვები მიწაშია. ია ფესვებით იწოვს მიწიდან საკვებს და იზრდება. მისი ყვავილი ლურჯია. სურნელი ნაზი აქვს.

ია გაზაფხულის დამდეგს აყვავდება ხოლმე.



## სავარჯიშოები

ია გაზაფხულის მახარობელი ყვავილია.

? კიდევ რა ყვავილები იცი?

ვარდი მაისში ყვავილობს.
ვარდობისთვე მაისის ძველი სახელია.

რებუსი

 სამანი

* * *

თებერვალი ზამთრის ბოლო თვეა. ამ დროს მიძინებული ხე ცოცხლდება. მისი ღონიერი ფესვები დედამიწიდან წყალს შეიწოვს. ხის ტანი კვირტებს გამოისხამს.



თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩიტმა-ჩიორამაო
საძირკველი გადგაო.

ხალხური

**სავარჯიშოები**

- საძირკველი სახლის ძირია.
- რისთვის ემზადება ჩიტი-ჩიორა?
- ჩიტი ხეზე დაბინავდა.
- დახატე სახლი.

# ბუდე

(აღწერა)

ეს ჩიტის ბუდეა. ბუდე მომრგვალოა, ჯამს ჰგავს. გაკეთებულია ბუჩქზე.

ბუდეში ვხედავთ ოთხ ბარტყს. ბარტყებს პირები დაღებული აქვთ, საჭმელს ელიან, აქეთ-იქით იცქირებიან. დედა ჩიტი მოფრენილა, მოუტანია წვრილი მატლი და ნისკარტით უჭირავს. უნდა, მატლი ბარტყს ჩაუდოს პირში.



## სავარჯიშოები

?

**1.** რა ჰქვია ჩიტის სახლს?

**2.** ჩიტის შვილს რას ვუწოდებთ?

**3.** რაზე გაუკეთებია ბუდე ჩიტს?

**4.** არწივი ჩიტია თუ დიდი ფრინველი?

ჩიტი პატარა ფრინველია.
შოშია, მერცხალი, ბელურა, შაშვი, ბულბული ჩიტები არიან.

ქორი დიდი ფრინველია.

რებუსი

 წვ  ჩიტ .

* * *

თებერვალი გავიდაო,
მარტი კაბას კერავდაო,
მარტმა ნემსი დაკარგაო,
აპრილსა დააბრალაო,
აპრილმაცა ჰოპლა თქვაო,
მთა და ბარი დაქარგაო.

ხალხური



**სავარჯიშოები**

? **1.** წელიწადის რომელი დროა აღწერილი ამ ლექსში?
**2.** რომელ თვეში იქარგება ყვავილებით მთა და ბარი?

აპრილმაცა ჰოპლა თქვაო,
მთა და ბარი დაქარგაო.

გამოიცანი ფერები:
გვირილა თეთრია.
ყაყაჩო .......
ენძელა ......
ია ......

დახატე „გაზაფხულის კაბა“ – ყვავილებიანი მინდორი.

* * *

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
სახლი გაუხარებია.

ხალხური



**სავარჯიშოები**

ყმაწვილი მოზრდილი ბავშვია.

? იას, ვარდს, ზამბახს, ყაყაჩოს რა საერთო სახელი ჰქვია?

ყაყაჩოს წითელი და სიფრიფანა ფურცლები აქვს.

! სწავლა სინათლეა, უსწავლელობა – სიბნელეო.

# ხუთი თითი

(აღწერა)

ეს ხელის თითებია: ცერი, საჩვენებელი თითი, შუათითი, არათითი და ნეკი. ცერი მოკლე და მსხვილი თითია. საჩვენებელი თითი ცერზე გრძელია. შუათითი ყველა თითზე გრძელია. არათითი ცოტათი მოკლეა შუა-თითზე. ნეკი ყველა თითზე წვრილია. თითები ფრჩხილით თავდება.

ცერს ორი სახსარი აქვს და ორგან იკეცება. ყველა სხვა თითს სამი სახსარი აქვს და სამგან იკეცება.

თითებით ვაკეთებთ საქმეს.



## სავარჯიშოები

?

**1.** ძალიან პატარას რატომ ვუწოდებთ „ცეროდენას“?

**2.** რატომ დაერქვა თითს „საჩვენებელი“?

**3.** რას ნიშნავს „მიუთითა“?

**4.** როდის ვამბობთ: „ხუთი თითივით ვიცი“?

**5.** აქ რომელი ხელის თითები ხატია, მარჯვენა თუ მარცხენა?

დადე ხელი ცარიელ ფურცელზე და შემოხაზე საკუთარი ხუთი თითი.

# ხუთი ხმოვანი: ა ე ი ო უ

**ა** — ლი, სო, თი

**ე** — ნა, ზო, ქო

**ი** — რემი, ადონი, ორი

**ო** — ცი, რმო, თახი

**უ** — ლვაში, ნაგირი, რემი

## სავარჯიშოები

დაითვალე ხმოვნები:

ციცინათელა

მდინარე

ნაკადული

ობობა

გამოიცანი ხმოვანი და სიტყვები რვეულში ჩაწერე:

| | | | |
|---|---|---|---|
| ხ ☐ | მზ ☐ | ძმ ☐ | რ ☐ |
| ც ☐ | ზღვ ☐ | დ ☐ | ბ ☐ |
| დღ ☐ | რკ ☐ | ხბ ☐ | კ ☐ |

# ნუცას სკოლა

(მოთხრობა)

პატარა ნუცამ თქვა, ჩემს დედოფალებს უთუოდ კითხვა უნდა ვასწავლოო. გადაუშალა წიგნი და ეუბნებოდა: ეს არის ანი, ეს არის ბანი; ისწავლეთ, გენაცვალეთ, თვალი არ დახუჭოთო.



## სავარჯიშოები

**1.** რა წიგნი გადაუშლია პატარა ნუცას?

**2.** ისწავლიდნენ დედოფალები კითხვას?!

თვალები



თვლები



გამოიცანი გამოტოვებული ასოები:

დედოფალას ლურჯი თ□□□□□□ აქვს.

გვირგვინს წითელ-წითელი თ□□□□□ უზის.



# ბავშვის სათვალე

– მამი, მეც მიყიდე სათვალე! – სთხოვა მამას კატომ.

– რად გინდა, შვილო? – ჰკითხა მამამ.

– შენსავით წიგნები უნდა ვიკითხო! – აუხსნა პაწია კატომ.

– კარგიო, – შეჰპირდა მამა და უყიდა ანბანი.



## სავარჯიშოები

? რა მოინდომა პატარა ბავშვმა?
რა უნდა ისწავლო, წაკითხვა რომ შეძლო?

წიგნი საუკეთესო საჩუქარია.

გამოცანა

ფურცლები აქვს ბუჩქივით,
იკერება ქუდივით,
ლაპარაკობს კაცივით.

პასუხი: წ □□□□

რებუსი

მა  წიგნს ა  ერებს.

# მარცვალი



მძივის
მარცვალი



ყურძნის
მარცვალი



სიმინდის
მარცვალი

**დამარცვლული სიტყვები:**

მძი-ვი  ტა-რო  ყურ-ძე-ნი

## სავარჯიშოები

სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიც არის ხმოვანი.

| | |
|---|---|
| ბუ | ბუ-ნე-ბა |
| ბუ-დე | სა-ბუ-და-რი |

შეადგინე ორმარცვლიანი სიტყვები:

დე  ნა  მი  და

? სიტყვა „დედამიწა“ რამდენმარცვლიანია?